პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№87 (6152)

1978 წელი ოქტომბერი 4 ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ემოქმედებითი ძალებით
ალსავსე. კომუნიზმის საქე-
ლდღეო, სასახელო მიღწევებით
შეგება პირველ მაისს საბჭოეთი,
ადაც ექვსი ათეული წელია ფრი-
ლებს დიდი ოქტომბრის ძლევა-
ისილი დროშა. ამ საზეიმო დღეს
აბჭოთა ხალხმა კიდევ ერთხელ
დადასტურა მონოლითური ერ-
თიანობა ლენინურ კომუნისტურ
პარტიასთან, რომელიც მიუძღვის
ქვეყანას გამარჯვებიდან გამარჯვე-
ბისკენ. საპირველმაისო დემონსტ-
რაციაში მონაწილეობა მიიღეს, აგ-
რეთვე, ჩვენი ქვეყნის ფიზკულ-
ტურელთა მრავალმილიონიანი არ-
მიის წარმომადგენლებმა, რომლე-
ბიც მტკიცე ნაბიჯებით ჩაიარეს
ირველ მოედანზე მოსკოვში, რუ-
ოველის პროსპექტზე ობილის-
ი...

ოსკოვი



თგილისი

5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა

მართალი სიტყვით

ხვალ ბეჭდვითი სიტყვის დღეა. 1912 წლის 5 მაისიდან, იმ დღიდან, როდესაც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით სინათლე იხილა ბოლშევიკური პრესის ფლაგმანმა გაზეთმა „პრავდამ“, დასაბამი მიეცა ამ დირსშესანიშნავ თარიღს, რომელსაც ზეიმით აღნიშნავენ ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში.

წლევანდელი 5 მაისი საბჭოთა ხალხის განსაკუთრებული პოლიტიკური და შრომითი აქტივობის პერიოდს ემთხვევა: სულ ახლახან ვიზეიმეთ დიდი და ხათელი დღესასწაული — 1 მაისი, მანამდე ჩატარდა საკავშირო ალკა XVIII ყრილობა, რომლის ტრიბუნიდან საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

ბეჭდვითი სიტყვის დღე წელს პირველად აღინიშნება. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები, რომელთა განხილვა და მიღება გადაიქცა სოციალისტური დემოკრატიის ბრწყინვალე ზეიმად. სსრ კავშირის ახალი ძირითადი კანონი, მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციები უზრუნველყოფენ საბჭოთა ადამიანების დიად უფლებებს — შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის, ბინის, განათლების, კულტურის მიღწევებით სარგებლობის, საზოგადოების საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლებებს. ხალხის ინტერესების შესაბამისად სოციალისტური წესწყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით ჩვენს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონში და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში პირველად კონსტიტუციურად იქნა ფიქსირებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ეს ფაქტი განსაკუთრებით საგულისხმოა პრესის იმ მუშაკთათვის, რომლებიც მოწოდებულნი არიან ფართო საზოგადოებას ნათლად დაანახონ საბჭოთა სპორტის უდიდესი წარმატებანი საერთაშორისო სარბიელზე, პროპაგანდა გაუწიონ ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის უდიდეს მნიშვნელობას ყოველმხრივი, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში.

დიდი და საპატიო ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი რესპუბლიკის პრესის მუშაკები, სპორტული ჟურნალისტები. ამის შესახებ გარკვევით ითქვა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურის და სპორტის შემდგომი განვითარების პრობლემებს მიეძღვნა.

ბავშვთა და მოზარდთა შორის ფიზიკური კულტურის აღორძინება, მუშა, კოლმეურნე და სტუდენტ ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლა, მშრ კომპლექსის სისტემატური პროპაგანდა და მისი ცხოვრებაში განუხრელად დანერგვა. მატერიალური ბაზის განმტკიცება. ეგრეთწოდებული „დიდი სპორტის“ შემდგომი განვითარება, რომელიც დაეფუძნება ჰეშმარიტ მასობრიობას — აი, იმ ძირითად საკითხთა წრე, რომელთა გადაწყვეტა ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციის, აქტივის, მთელი საზოგადოებრიობის და მათ შორის, პრესის მუშაკთა საპატიო ვალია.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია დღეს გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, რათა განუხრელად შესრულდეს საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ამოცანები სკკ XXV ყრილობის გადწყვეტილებათა შესაბამისად“. სპორტულ საზოგადოებებში, სპორტულ სკოლებში გაცხოველებით ემზადებიან მომავალი კომპლექსური შეკიბრებებისთვის — მოსწავლეთა სპარტაკიადისთვის, საბჭოთა კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადასა და XXII მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობისთვის.

რესპუბლიკის პრესის მუშაკებმა, სპორტულმა ჟურნალისტებმა ობიექტურად, საქმის ცოდნით უნდა ასახონ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ყველა უბანი, ჯერ კიდევ არსებული გადაუჭრელი პრობლემები თუ მიღწევები და ამით თავისი წვლილი შეიტანონ მთელი ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობის ხარისხობრივად ახალ საფეხურზე აყვანის საქმეში; უფრო აქტიურად გაუწიონ პროპაგანდა ფიზკულტურასა და სპორტს, ყოველივე იმ შესანიშნავისა და დადებითის, რაც კი რამ აქვთ ჩვენს სპორტსმენებს.

გაქარწყვეგა მეტოქის მინდორზე

დნეპროპეტროვსკი. „მეტეორის“ სტადიონი. 2 მაისი.

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (თბილისი) 0:1 (0:0).

„დნეპრი“: შატოხინი, ლისენკო, მატვიენკო, სკლიარი, პეტრუხინი, ტროშკინი, ტომახი, მოტუზნი, კუცევი, მასლოვი, კრამარენკო.

„დინამო“: გაბელია, ბიზანიშვილი, კანთელაძე, ბინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 0:1. გოლი გაატანა ებანოიძემ.

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის ჩემპიონატში დააწესეს ფრენდ დამთავრებული მატჩების ლიმიტი, კიდევ უფრო გაძნელდა თამაში სტუმრად. მოწინააღმდეგის მინდორზე. უმაღლეს ლიგაში ახლა მწვავე ბრძოლა წარმოებს ყოველგვარი კომპრომისის გარეშე. თუ პირველ ტურში რამდენადმე შესამჩნევი იყო „ძველის რეციდივი“ და 8 მატჩიდან 4 ფრენდ დამთავრდა, მეორე ტურში ფრენდ აღინიშნა მხოლოდ ერთი მატჩი, მესამეში — აგრეთვე, ერთი, მეოთხეში — არც ერთი და მეხუთეში — ერთი. ჩემპიონატში ნათამაშევია 38 მატჩი, ფრენდ მათგან დამთავრდა კი მხოლოდ 7!

ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე ადვილად შეიძლება დავასკვნათ, თუ რა ძნელი მატჩი ელოდა დნეპროპეტროვსკში თბილისის „დინამოს“. ცხადია, „დნეპრი“, რომელმაც წინა 4 ტურში 3 მარცხი განიცადა და აუტსაიდერთა შორის იმყოფებოდა, იბრძოლებდა ძალების მაქსიმალური დაძაბვით, მთელი შესაძლებლობით, რათა შინ, საკუთარი გულშემატკივრების წინაშე მიეღწია წარმატებისთვის და გამოესწორებინა საქმეები. თბილისელთა მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ გუნდს აკლდა მთავარი ბომბარდირი, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში გაწვეული რ. შენგელია.

მასპინძლები შეეცადნენ თავიდანვე ხელთ აეღოთ ინიციატივა და აქტიური თამაში წარემართათ, მაგრამ პირველმა 45 წუთმა განვლო ისე, რომ „დინამოს“ კართან რეალური ხიფათი არ შექმნილა, თუმცა დაცვისა და ნახევარდაცვის რგოლებს მძიმე ბრძოლის წარმოება მოუხდათ შუა მინდორში. სპაგიეროდ, ჩელებაძეს და ყიფიანს ორჯერ ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღწიათ წარმატებისთვის.

ასევე დაძაბულად მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგ, ორივე კართან იშატა სანიფათო მოქნტებმა, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანდა, და უკვე მაშინ, რიცა თითქოს ფრე გარდუვალი იყო და მატჩის დამთავრებას სულ 4 წუთი აკლდა, თბილისელებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, ყიფიანმა მიიღო გუცაევის გადაცემა, ზუსტად დაარტყა და ღირსეული გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 1:0.

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

2 მაისს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის, მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „არარატი“ (ერევანი) 2:0

„ნეფთჩი“ (ბაქო) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 1:0

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:0

„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (კიევი) 1:2

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:0

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — ცსკა 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	5	4	1	0	7	—2 9
„ტორპედო“	5	3	2	0	8	—0 8
„ზენიტი“	5	3	1	1	8	—8 7
„შახტიორი“	4	3	0	1	6	—3 6
„დინამო“ კ.	5	2	1	2	6	—4 5
„ფახთაქორი“	5	2	1	2	10	—9 5
„ლოკომოტივი“	5	1	3	1	6	—6 5
„ჩერნომორეცი“	5	2	1	2	5	—5 5
„ქაირათი“	5	2	1	2	6	—9 5
„ზარია“	5	2	0	3	6	—7 4
ცსკა	5	2	0	3	5	—6 4
„დინამო“ მ.	3	1	1	1	3	—3 3
„ნეფთჩი“	5	1	1	3	2	—4 3
„არარატი“	5	1	1	3	2	—5 3
„დნეპრი“	5	1	0	4	2	—6 2
„სპარტაკი“	4	1	0	3	2	—7 2



დინამოელთა უპირატესობით

ველოსპორტი

თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე დამთავრებულ მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრების გუნდურ ჩათვლაში ყველაზე კარგად გამოვიდნენ „დინამოს" სპორტსმენები, რომლებმაც ოთხდღიან ბრძოლაში 621 ქულა მოაგროვეს. მომდევნო საპრიზო ადგილები ერგოთ „ვანთიადას" (564,5 ქულა) და „შრომით რეზერვებს" (331,5).

სუსტად მომზადებული აღმოჩნდნენ „ბურევესტნიკისა" და „სპარტაკის" კოლექტივები, რომლებმაც შესაბამისად 174 და 102 ქულა მიიღეს. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ „სპარტაკსა" და „ბურევესტნიკში" მოზარდთა შორის მუშაობას გულგრილად ეკიდებიან.

პირველობის ბოლო ორ დღეს „სპარტაკის" ველოსიპედისტებმა ვერც ერთი საპრიზო ადგილის მოპოვება ვერ შეძლეს.

მრავალდღიანი ტურნირის მესამე ეტაპზე (40 წრე 4 საშუალედო ფინიშით) ი. პოპოვმა („დინამო") და ი. ზიმენკოვმა („შრომითი რეზერვები") იმარჯვეს. ასპარეზობის ერთ-ერთმა ლიდერმა — დინამოელმა ე. გელაშვილმა ამ დღეს ვერც ერთი ქულა ვერ აიღო. იგი სპრინტერია და ამის წყალობით ასეთ გრძელ, 16-კილომეტრიან რბოლაშიც წარმატებას აღწევს ხოლმე, მაგრამ ამჯერად მან „ჩრდილში" ყოფნა ამჯობინა და ძალები საფინიშოდ, მეოთხე ეტაპისთვის შემოინახა. მართლაც, გელაშვილმა უკანასკნელ დღეს პირველი და მესამე საშუალედო ფინიშები მოიგო. მაგრამ მეორე და მეოთხე საშუალედო ფინიშზე დათმო პოზიციები, რის გამოც მას აჯობა ზიმენკოვმა, რომელიც პირველ საშუალედო ფინიშზე მეოთხე იყო, ხოლო მეორე და მეოთხე ფინიშები პირველმა დაამთავრა.

საბოლოოდ მრავალდღიან რბოლაში ზიმენკოვს 76 ქულა მოუგროვდა და I ადგილიც მას დარჩა. II ადგილზეა პოპოვი (62), III — გელაშვილი (54).

ამ შეჯიბრებამ კიდევ სამი გამარჯვებული გამოავლინა. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გაიმართა 3 და 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა. 1958-59 წლებში დაბადებულთა შორის ყველაზე მარჯვე გამოდგა კ. იოვიძე („ბურევესტნიკი") — 5.18,3. მომდევნო ადგილები ერგოთ ა. სივოკელეზოვსა („განთიადი") — 5.25,3 და ვ. მანუშაროვს („დინამო") — 5.28,8.

1960-61 წლებში დაბადებულებში ამავე დისტანციაზე უძლიერესი გახლდათ დინამოელი პოპოვი, რომელმაც 4 კმ 5 წუთსა და 18,8 წამში დაფარა. ზიმენკოვი მას მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა. მესამე პრიზიორია პ. ვერიგინი („განთიადი") — 5.21,1.

ყველაზე პატარებმა — 15-16 წლის ბიჭებმა 3 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში სცადეს ძალა. პრიზიორები გახდნენ „განთიადის" სპორტსმენები — ი. კაზაკოვი (4.10,8), ო. არეშინი (4.11,6) და ი. გუმაშიანი (4.11,7).

ჯ. ჯიმშელაძე.

* * *

სურათებზე: 40 წრეზე რბოლის მომენტი; ფინიშამდე რამდენიმე მეტრია; ლიდერები.

ო. გელაშვილის ფოტოები.

„ლელო" უკვე წერდა აკადემიურ ნიჩბოსახობაში ფოთში გამართული შეჯიბრების შესახებ. ამ შავი ზღვისპირა ქალაქიდან ესტაფეტა მიიღო მინგეჩაურმა, რომლის ოლიმპიურ ბაზა „მტკვარზე" ჩატარდა საკავშირო ზონალური „მინგეჩაურის რეგატა".

„მტკვარი" კარგა ხანია გადაიქცა სსრ კავშირის საკრებების ერთ-ერთ მოსამზადებელ ცენტრად, ამიტომაც აქ მოწყობილი სტარტები მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. იგი განსაკუთრებით იგრძნობოდა ახლა, რადგან საუკეთესო ეკიპაჟებს 6-9 მაისს კალინინში ა. ნიკიტინის პრიზის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას ანიჭებდა. ნიკიტინის პრიზის გათამაშებაში უძლიერესებს კი წინ მოსკოვის საერთაშორისო რეგატა ელოდებათ.

„მტკვარზე" თავი მოიყარეს ხიმკის, ლენინგრადის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის კოლექტივებმა.

თავდაპირველად სპორტსმენები გრძელ დისტანციებზე (ვაჟები 4000, ქალები 2000 მეტრზე) შეეჯიბრნენ ერთმანეთს, მერე — კლასიკურზე.

ყველა დისტანციაზე ბრძოლა გამარჯვებისთვის ძირითადად ჩვენსა და მასპინძელთა ნავებს შორის მიმდინარეობდა, 4000 მეტრზე ასპარეზობაში საქართველოს ეკიპაჟებმა სამი გაცურვა მოიგეს, ორჯერ მეორენი იყვნენ, ერთხელ — მესამე. ქალები კი სამჯერ პირველნი მივიდნენ ფინიშთან და ერთხელ — მესამე.

წარმატება წილად ხვდათ ორადგილიანი უმცსაჭო გასაშლელებით შეჯიბრებაში სპორტის ოსტატობის კანდიდატებს ვ. ვასილიევსა და ლ. რამიშვილს, რომლებმაც 4 კილომეტრი 13 წუთსა და 40 წამში გაცურეს და 26 წამით ჩამოიტოვეს სპორტის ოსტატები ს. ხვოსტოვი და ვ. გოლუბეკი (აზერბაიჯანი).

ჩვენი ბიჭების, სპორტის ოსტატების გ. პატარაიასა და რ. გაბელაიას (მესაჭე — ბ. ახალაძე) გამარჯვებით დამთავრდა მესაჭიანი ორადგილიანი გასაშლელებით რბოლა — 13.58,0. ოღონდ ამჯერად ფინიშთან მეორე მივიდა ტაჯიკეთის დუეტი (ძმები ატამაკოვები) — 14.17,0.

საინტერესო გამოდგა ერთადგილიანებით რბოლა. გამარჯვებისთვის 15 ნავი იბრძოდა. განსაკუთრებით უშნო ავათ იყო სპორტის ოსტატების ს. გოცირიძისა და ვ. პეპსოევის (თურქმენეთი) დუეტი. მართალია, მათ ერთხანს კვალში მიჰყვებოდა ოსტატი ნ. ომელჩენკო (აზერბაიჯანი), მაგრამ მერე იგი ჩამორჩა და დანაკარგის გამოსწორება ვერ შეძლო.

გოცირიძე და პეპსოევი ფინიშის სწორამდე მხარდამხარ მივიდნენ, მაგრამ უკანასკნელ მეტრში გოცირიძემ ოდნავ დაწინაურება შეძლო — 15.20,0. მან მეტოქე წამით ჩამოიტოვა.

ჩვენი ქალებიდან 2000 მეტრზე რბოლაში იმარჯვებს რვაადგილიანმა (მ. გვრიტიშვილი, ვ. მარგიშვილი, ნ. დალაქიშვილი, ნ. ჭინჭლაძე, ნ. ზაალიშვილი, ნ. ლავრელაშვილი, ნ. ბუგაშვილი, ლ. ჯაგაევა, მესაჭე — თ. კვერნაძე) — 8 წუთი, ორადგილიანმა წყვილმოსასმელიანმა (ი. ეფიმოვა, ვ. კიაივერიაინენი) — 8.20,0 და უმესაჭო ორიანის ეკიპაჟმა (ლ. ჟატკინა, ლ. მიტიაევა) — 9.14,0. ამავე სახეობაში ა. ზიმენკოსა და ნ. ლუკაშვილის ნავი მესამე იყო — 9.57,0.

ესტაფეტა «მტკვარმა» მიიღო

ნიჩბოსნობა

მერე, კლასიკურ დისტანციებზე (2000 და ქალებისთვის 1000 მეტრზე) შეჯიბრებაში გაიმართა ნახევარფინალური და ფინალური სტარტები. ფინალში ჩვენი 14 ეკიპაჟი შევიდა, მათგან ათს საპრიზო ადგილები ხვდათ. გოცირიძემ კი აქაც ყველა მეტოქეს აჯობა — 8.36,0. მან ახლაც იმავე პეპსოევისთან დუელში შეძლო წარმატების მოპოვება, ოღონდ ამჯერად მოწინააღმდეგე 9 წამით ჩამოიტოვა. ლენინგრადელი ს. იავორსკი მესამე იყო — 8.48,0.

პირველი ადგილი დაიკავა, ავრეთვე, ჩვენმა ქალთა რვიანმა — 3.48,0.

შეჯიბრებამ დაგვანახა, რომ საქართველოს სპორტსმენები საერთო ფიზიკურ მომზადებაში ბევრ მეტოქეს სჯობდნენ, მაგრამ ტექნიკაში ასევე ბევრს ჩამორჩებოდნენ. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გრძელ დისტანციებზე ისინი ფინიშთან პირველნი იქვსჯერ მივიდნენ, კლასიკურში — მხოლოდ ორჯერ.

გაგაცნობთ კლასიკური დისტანციების სხვა პრიზიორებს.

ქალები. 1000 მ. ერთადგილიანი. ი. გოლოვანოვა — 4.00,0, ნ. ლიუბიმოვა (ორივე — ლენინგრადი) — 4.06,0, ლ. სმიშკინა (აზერბაიჯანი) — 4.17,0; **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** ხიმკი (მ. ტიტოვა, ი. გეტმანსკაია) — 3.53,0, საქართველო (ი. ეფიმოვა, ვ. კიაივერიაინენი) — 3.54,0, ტაჯიკეთი (ე. ჰუსაინოვა, ნ. ბეზრუკოვა) — 4.17,0; **უმესაჭო ორადგილიანი გასაშლელი.** აზერბაიჯანი (გ. სურინა, ი. ლისკოვა) — 4.32,0, საქართველო (ე. წენგოაშვილი, ლ. ცარციძე) — 4.45,0, ტაჯიკეთი (ო. გარტნერი, ფ. კალიკოვა) — 4.55,0; **ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი მესაჭით.** ხიმკი — 3.33,0, ლენინგრადი — 3.52,0, საქართველო (ა. ზიკანოვა, ვ. ჟელტკოვა, მ. ცოცხალაშვილი, მ. ონიანი, მესაჭე — ჩ. ჩაჩანიძე) — 4.00,0.

ვაჟები. 2000 მ. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი. აზერბაიჯანი I (ძმები ა. და ვ. კომაროვები) — 7.23,0, აზერბაიჯანი II (ა. სმირნოვი, ა. გრიგორიანი) — 7.24,0, სომხეთი (ა. პოღოსიანი, ო. კასაბიანი) — 7.35,0, საქართველო არ მონაწილეობდა. **უმესაჭო ორადგილიანი გასაშლელი.** აზერბაიჯანი (ს. ხვოსტოვი, ვ. გოლუბევი) — 7.48,0, საქართველო (ვ. ვასილიევი, ლ. რამიშვილი) — 7.52,0, თურქმენეთი (ს. კოროლკოვი, ფ. საიფულოვი) — 8.07,0; **მესაჭიანი ორადგილიანი გასაშლელი.** აზერბაიჯანი (ვ. კაჩანოვი, ა. ჯუმაროვი, მესაჭე — ს. კაჩანოვი) — 9.13,0, საქართველო I (გ. პატარაია, რ. გაბელაია, ბ. ახალაძე) — 9.22,0, საქართველო II (რ. კარაპეტიანი, ვ. პისარენკო, ნ. სულაშვილი) — 9.37,0; **უმესაჭო ოთხადგილიანი გასაშლელი.** აზერბაიჯანი I — 6.59,0. აზერბაიჯანი II — 7.21,0, საქართველო (ი. აკაევი, დ. ცინცაძე, გ. ცხომარია, გ. თურქიაშვილი) — 7.29,0; **მესაჭიანი ოთხადგილიანი გასაშლელი.** აზერბაიჯანი I — 7.17,0, საქართველო (ვ. პეტრიაკი, ვ. ივანაშვილი, ჰ. კობალაძე, ვ. მიხაილოვი, მესაჭე — ა. ოდილაძე) — 7.24,0. აზერბაიჯანი II — 7.43,0; **უმესაჭო ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი:** აზერბაიჯანი — 6.50,0, საქართველო (თ. შონია, გ. და ი. ტოფაძეები, ა. ბართაია) — 7.15,0, თურქმენეთი — 7.55,0.

ვ. შარავაშიძე.

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

საქართველოს რეკორდები

1978 წლის 4 მაისისთვის

დისტანცია	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
		ქალები	
		მ-1 ვარჯიში	
30 მ	340	ჯ. ლოსაბერიძე (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
50 მ	319	ჯ. ლოსაბერიძე (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
60 მ	317	ჯ. ლოსაბერიძე (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
70 მ	311	ჯ. ლოსაბერიძე (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
მ-1	1266	ჯ. ლოსაბერიძე (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
გუნდური	3479	„ბურევესტნიკის" ნაკრები (ჯ. ლოსაბერიძე, ა. სორდია, გ. რიჟამაძე)	1[illegible]
		მ-2 ვარჯიში	
30+30	674	ჯ. ლოსაბერიძე (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
50+50	615	ჯ. ლოსაბერიძე (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
60+60	627	ჯ. ლოსაბერიძე (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
70+70	601	ჯ. ლოსაბერიძე (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
მ-2	2490	ჯ. ლოსაბერიძე (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
გუნდური	6832	„ბურევესტნიკის" ნაკრები (გ. რიჟამაძე, ა. ზამისლოვა, ე. გოლუბოვა)	1[illegible]
		ვაჟები	
		მ-1 ვარჯიში	
30 მ	346	ვ. ტროპინი (თბილისი, „სპარტ.")	1[illegible]
50 მ	327	ნ. ნოვოსელცოვი (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
70 მ	321	ვ. ტროპინი (თბილისი, „სპარტ.")	1[illegible]
90 მ	281	ნ. ნოვოსელცოვი (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
მ-1	1238	ნ. ნოვოსელცოვი (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
გუნდური	3580	თბილისის ნაკრები (გ. გორდეზიანი, ვ. ტროპინი, ნ. ნოვოსელცოვი)	1[illegible]
		მ-2 ვარჯიში	
30+30	683	ვ. ტროპინი (თბილისი, „სპარტ.")	1[illegible]
50+50	627	ვ. ტროპინი (თბილისი, „სპარტ.")	1[illegible]
70+70	618	ნ. ნოვოსელცოვი (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
90+90	554	ნ. ნოვოსელცოვი (თბილისი, „ბურ.")	1[illegible]
მ-2	2455	ვ. ტროპინი (თბილისი, „კოლხ.")	1[illegible]
გუნდური	7028	თბილისის ნაკრები (ვ. ტროპინი, გ. არჩვაძე, ი. ლოგინოვი).	1[illegible]

მშვილდოსნობა

კიდევ სამი რესპუბლიკური...

ვიტყოდით, რომ დუშანბეში გამართულ მშვილდოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, უნივერსიტეტის თანამშრომელმა ჭ. ლოსაბერიძემ საბოლოოდ 2490 ქულა მოაგროვა და საქართველოს რეკორდი დაამყარა.

მაგრამ ეს არ იყო მისი ბოლო წარმატება ამ ტურნირში. ქულების ჯერ 60 მეტრზე სრული ციკლით გააუმჯობესა მის მიერ ამავეწინათ დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი — 317 ქულა აჩვენა. შემდეგ, 70 მეტრზე ჩატარებულ შეჯიბრებაში 4 ქულით უკეთეს შედეგს (311) მიაღწია, და ბოლოს 60+60 მეტრზე 627 ქულა მოაგროვა. ეს 11 ქულით აღემატება მისსავე ადრინდელ რეკორდს.

სპორტული ვანი

ჩატარდა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. სასპარეზოდ გამოვიდა რაიონის 16 სამუშაო სკოლის 100-მდე მოსწავლე. I ადგილი ამაღლების საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა მოიპოვეს, II-III ადგილები კი შესაბამისად ვანის კიროვის სახელობისა და შუამთის საშუალო სკოლების ჩოგბურთელებს ერგოთ.

მოსწავლე ფეხბურთელთა ზონალურ შეჯიბრებაში ცაგერის, თერჯოლის, ქარელის, ბორჯომისა და ვანის სპორტული სკოლის გუნდები მონაწილეობდნენ.

წარმატებით იასპარეზა ვანის სპორტული სკოლის კოლექტივმა და I ადგილი მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე არიან თერჯოლისა და ქარელის სპორტული სკოლის გუნდები.

გაიმართა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

გოგონათა ტურნირში შუამთის საშუალო სკოლის კოლექტივმა ხმარჯვა, ვაჟებში კი I ადგილზე სალხინოელი ფრენბურთელები გავიდნენ.

დამთავრდა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში რაიონის საშუალო სკოლის გუნდებს შორის. ხალიჩაზე გამოვიდა 15 სკოლის 150-მდე მოჭიდავე.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი კიროვის სახელობის საშუალო სკოლის კოლექტივმა დაისაკუთრა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: გ. ადეიშვილმა, გ. აბუბაშვილმა, თ. მექაძემ, გ. ვაშაყმაძემ, პ. ასათიანმა, გ. ქხეიძემ, პ. სოსელიამ, გ. ორმოცაძემ, ე. ხურცილაძემ, გ. ქავთარიამ, დ. ღვინიანიძემ, გ. მამასახლისმა, დ. არველაძემ.

ი. ნიკოლეიშვილი.

5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა

სპორტთან მეგობრობით გამთბარი შემოქმედება

საქართველოში სპორტის პროპაგანდისა და პოპულარიზაციისთვის მწერალი და უურნალისტი გ. ფანჯიკიძე დაჯილდოვდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით.

გურამ ფანჯიკიძეს პირველად სვანეთში შევხვდი „აილამას“ ალპინისტურ ბანაკში. იქ საწვრთნელ შეკრებაზე ვიყავით. 17 დღის შემდეგ უსახელო მწვერვალი უნდა დაგვეპყრო და მისთვის დიდი ქართველი პოეტის, გალაკტიონის სახელი გვეწოდებინა.

15 სექტემბერს ზესხოს ხეობაში გადავვდით და მწვერვალის ძირში დავბანაკდით. 16 სექტემბერს დილის 5 საათზე მოიერიშე ჯგუფმა ბანაკი დატოვა. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი შალვა მარგიანი. ჯგუფში იყო ისეთი გამოცდილი მთამსვლელი, როგორიცაა სსრ კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი გიორგი ახვლედიანი, აგრეთვე. გაიოზ ჩართოლანი, ბარდღა ონიანი, ზურაბ ჯინჭარაძე, გიორგი კაკრიაშვილი, გურამ ფანჯიკიძე და ამ სტრიქონების ავტორი.

მწვერვალის შტურმი რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. საშინელი ქარი ქროდა, დროდადრო თოვდა. გურამი მაშინ 40 წლისა იყო და თავდაპირველად შალვა მარგიანს და ჩვენც გვეეჭვებოდა, რომ ასეთ პირობებში შეძლებდა მწვერვალზე ასვლას.

გურამ ფანჯიკიძეს, როგორც სპორტულ ჟურნალისტს 1964 წელს გავეცანი, როცა ჯერ კიდევ მეშვიდე კლასში ვიყავი (ამ წერილში არ ვაპირებ მის მწერლობაზე. პუბლიცისტიკაზე და მრავალფეროვან ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე საუბარს). მახსოვს, როგორი სიამოვნებით წავიკითხე მისი წიგნი „ოქროს გუნდი“. მას შემდეგ არ გამომრჩენია მწერლის არცერთი სპორტული ნარკვევი, რომელიც კი ჩვენს პრესაში თუ პერიოდიკაში იბეჭდებოდა.

შემდეგ უნივერსიტეტში შევედი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, კარგად მახსოვს ერთი ჩემი ლექტორის სიტყვები: „ვურამ ფანჯიკიძის ნარკვევები იკითხეთ, დააკვირდით მის ნათელ და სადა სტილს, ნახავთ, რა ლაკონურად წერს. ვერცერთ ზედმეტ სიტყვას, ზედმეტ ფრაზას ვერ იპოვით“.

მართლაც, როგორი ნათელი და ტევადია გურამ ფანჯიკიძის ენერგიული შტრიხებით მოხაზული ფრაზები. სპორტის მოყვარულები კარგად იცნობენ მის შესანიშნავ წიგნებს „ფეხბურთის სამშობლოში“ და „მექსიკა ბურთით და უბურთოდ“, რომლებიც ინგლისისა და მექსიკის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატებისადმია მიძღვნილი.

ასეთ თემაზე დაწერილი წიგნები საოცრად მალე ძველდებიან და ჰკარგავენ ინტერესს, მაგრამ გ. ფანჯიკიძეს შესწევს უნარი მსოფლიო ჩემპიონატებიდან ისეთი მასალა შეარჩიოს და მოგვაწოდოს, თანაც ისე დაწეროს, რომ წიგნი არ მოძველდეს და ყოველთვის ინტერესით იკითხებოდეს. გ. ფანჯიკიძე არა მარტო კარგად აანალიზებს ჩემპიონატის უმთავრეს პრობლემებს, არამედ მათ ისეთი დეტალებითა და ნიუანსებით გვიხატავს, რომ მხატვრული ნაწარმოებივით კითხულობ. აი, თუნდაც ერთი ნაწყვეტი წიგნიდან „ფეხბურთის სამშობლოში“, სადაც აღწერილია შეხვედრა ბრაზილიელთა მწვრთნელთან ვისენტე ფეოლასთან:

„პრეგრამის უკანასკნელი პუნქტიც ამოწურეთ, ახლა ველოდებით თვითმფრინავს, რომელიც ამსტერდამში გადაგვაფრენს. თითქოს ამით მთავრდება ჩვენი შეხვედრები მსოფლიო ჩემპიონატის დონეზე, მაგრამ არა...

უეცრად მინის კარს იქით ნაცნობი მსხვილი მამაკაცი დავინახეთ. იგი დარბაზში შემოვიდა. საეჭვო არაფერი იყო — ჩვენს წინ ვისენტე ფეოლა იდგა.

ბრაზილიელთა მწვრთნელი იტალიაში მიემგზავრებოდა. ირგვლივ შეხედვით. იგი დამარცხებულ და ტყვედ ჩავარდნილ სარდაღს ჰგავდა, მაგრამ თავი ღირსეულად და ამაყად ეჭირა. მსუქან სახეში ჩამჯდარი თვალებიდან სევდა იღვრებოდა. მწვრთნელი, რომელმაც თავის ფანტაზიას დაუმორჩილა მსოფლიო საფეხბურთო ტაქტიკა, მწვრთნელი, რომელმაც ბრაზილიის ეროვნული ნაკრები ზედიზედ ორჯერ აიყვანა დიდების ოლიმპზე, ბრძოლის ველიდან გამოპარულ სარდაღს ჰგავდა. სადღა იყო მისი ბრწყინვალე „მაღა: პელე და გარინჩა, სანტოსი და ქალმარი, ბელინი და ჟაირზინიო?

ვისენტე ფეოლა მათ სამუდამოდ გამოემშვიდობა. გრძნობდა, უკანასკნელად რომ იყო საფეხბურთო მსოფლიოს ყურადღების შუაგულში და სვდიანი, ოდნავ ირონიული ღიმილიც ალბათ იმიტომ დასთამაშებდა“.

გ. ფანჯიკიძე ძირითადად ფეხბურთზე წერს, თუმცა მკითხველს ახსოვს მისი შესანიშნავი ნარკვევები ჯემალ ცერცვაძეზე, რობერტ შავლაყაძეზე, როსტომ ბაშაძეზე.

„რაზეც წერ, სპორტის იმ სახეობას კარგად უნდა იცნობდე, — თქვა ერთხელ საუბარში გ. ფანჯიკიძემ. — ახლა ფეხბურთზე ლაპარაკი ძალზე გაიოლდა. ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით ყველა მსჯელობს, მაგრამ ბევრი როდი გეტყვით, თბილისის „დინამოში“ რომელი ფეხბურთელი თამაშობს მარჯვენა ფეხით და რომელია ცაცია, აღარაფერს მოგახსენებთ უფრო რთულ ნიუანსებზე“.

გ. ფანჯიკიძე მართლაც კარგად იცნობს ფეხბურთს. თუმცა, ეს რაღა გასაკვირია, როცა კაცი დასწრებია შვეციის, ინგლისისა და მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატებს.

როცა თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი თამაში არ ჩატარებულა მოსკოვში, კიევში, ტაშკენტში თუ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში, მას რომ გამოეტოვებინოს.

როცა გაუცვნია და უსაუბრია ფეხბურთის სამყაროს მოელვარე ვარსკვლავებთან ფეოლასთან, ერერასთან, პუშკაშთან, რივერასთან და თვით პელესთან.

როცა მისი მეგობრები არიან ავთანდილ ჭკუასელი, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ზაურ კალოევი, ვლადიმერ ბარქაია, სერგო კოტრიკაძე, ილია დათუნაშვილი, ჯემალ ხერხაძე, მანუჩარ მაჩაიძე, რამაზ შენგელაია, თამაზ კოსტავა, გივი ჩოხელი, ფირუზ კანთელაძე... თავის საუკეთესო მეგობარ შოთა იამანიძესთან ერთად წიგნიც კი დაწერა — „ისევ ფეხბურთი“, ხოლო მისმა უახლოესმა მეგობარმა მურთაზ ხურცილავამ, როგორც პრესიდან გვახსოვს, გურამ ფანჯიკიძის რჩევით მოსკოვის „დინამოში“ გადასვლა გადაიფიქრა და ქუთაისის „ტორპედოში“ წავიდა.

გურამი მეგობრობს ლევ იაშინთან, ვალენტინ ივანოვთან, ვიქტორ პონედელნიკთან. ვიქტორის წინააღმდეგ მწვანე მინდორზეც კი უთამაშია. მაშინ ვ. პონედელნიკი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ გუნდში გამოდიოდა, გ. ფანჯიკიძე კი თბილისის „ჟურნალისტის“ მარჯვენა გარემარბად.

მრავალმხრივია გ. ფანჯიკიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობაც სპორტის სფეროში. იგი, როცა ქუთაისში ჟურნალ „განთიადს“ რედაქტორობდა, იქაურ ტორპედოელებთან ცხოვრობდა მათ სპორტულ ბაზაში. რ. შენგელაია დღესაც დიდი სიამოვნებით იგონებს გ. ფანჯიკიძის ლექციებს ფიზიკის, ასტრონომიის, ეკოლოგიისა თუ ხელოვნების საკითხებზე.

ამჟამად გ. ფანჯიკიძე საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტის პროპაგანდის ფედერაციის ბიუროს თავმჯდომარეა. მისი ინიციატივით მოეწყო სამხატვრო გალერეაში დიდი სპორტული გამოფენა, რომელიც კარგად ახსოვთ სპორტის გულშემატკივრებს. ახლა გ. ფანჯიკიძე ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ამ გამოფენის ბაზაზე დაარსდეს სპორტული მუზეუმი, ამის თაობაზე მან უკვე დასვა საკითხი ქართველ სპორტსმენთა რესპუბლიკური თათბირზე და ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა.

გ. ფანჯიკიძე თბილისის „დინამოს“ თან ახლდა ტაშკენტში, როცა ქართველმა ფეხბურთელებმა ჩემპიონის სანატრელი წოდება მოიპოვეს, ხოლო 1976 წელს, როცა სსრ კავშირის თასზე ფინალური შეხვედრა მოვიგეთ ერევნის „არარატთან“, გ.

ფანჯიკიძე კვლავ თბილისის დინამოელებთან იმყოფებოდა.

ადრე „განთიადში“, ახლა კი ჟურნალ „ცისკარში“, რომლის მთავარი რედაქტორიც გ. ფანჯიკიძეა, ყველა ნომერში იბეჭდება სპორტული ნარკვევები. გულდასაწყვეტია მხოლოდ ის, რომ უკანასკნელ პერიოდში თვითონ იშვიათად წერს სპორტზე. თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მკითხველი კიდევ ერთ კარგ წიგნს მიიღებს.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს გ. ფანჯიკიძის მოთხრობას „უკანასკნელი შეხვედრა“, რომელიც მან ავთანდილ ღოღობერიძეს მიუძღვნა. სწორედ ეს მოთხრობა გვაფიქრებინებს, რომ სპორტული თემატიკა კვლავაც იჩენს თავს მის პროზაშიც.

ახლა, მოდით, სვანეთის მთებში იმ ჩვენს ლაშქრობას დავუბრუნდეთ.

ფანჯიკიძემ ტოლი არავის დაუდო. მწვერვალზე ასვლას ათი საათი მოვუნდით. და აი, როცა დადგა ნანატრი წუთი, როცა მწვერვალის უმაღლეს წერტილამდე ორიოდე მეტრი რჩებოდა, შალვა მარგიანი გვერდზე გადგა და გურამ ფანჯიკიძეს უთხრა, მწვერვალზე პირველი შენ უნდა შედგეო. მასვე მიეცა პირველი რაკეტის სროლის უფლება, რითაც ბანაკში დარჩენილებს შევატყობინეთ, რომ კავკასიონის მთავარ ქედზე მოინათლა კიდევ ერთი უსახელო მწვერვალი, მას „გალაკტიონი“ დავარქვით.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე. მათ შორის ორი თხემგადაუთელავი მწვერვალი დავიპყარით.

ჩვენი ლაშქრობების შემდეგ ფანჯიკიძემ მთამსვლელის მოწმობა მიიღო. შინ რომ ვბრუნდებოდით, ნახევრად ხუმრობით ამბობდა — ახლა ჩემზე მრავალმხრივი სპორტსმენი აღარ მეგულებაო. და მართლაც გ. ფანჯიკიძე ფეხბურთში პირველთანრიგოსანია, კლასიკურ ჭიდაობასა და მძლეოსნობაში მეორე თანრიგი აქვს, ხოლო ალპინიზმში — მესამე!

ა. გურასაშვილი.

პრიზი, რომელსაც ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ

ბიბლიოთეკა

ოთხი ტურის შემდეგ კვლავ ლიდერები

თბილისის „დინამოს“ კოლექტივმა, რომელმაც თავის სტადიონზე 28 აპრილს „ჩერნომორეცთან“ გამართულ მატჩში კოლათა მაქსიმუმი (120) დააგროვა, დაიბრუნა პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციის პრიზიორობის („გუნდთან ერთად“) ბრძოლაში ლიდერის სახელი. თბილისელებს საკუთარ მინდორზე გამართული 3 მატჩის შედეგებით 305 ქულა აქვთ. ისინი მეორე ადგილზე მყოფ „შახტიორს“ 105 ქულით უსწრებენ, თუმცა აქამდე მეშახტეებს საკუთარ მოედანზე ჩატარებული ჰქონდათ მხოლოდ ორი შეხვედრა, თბილისელებს — სამი. 200-200 ქულა ჰქონდათ „ნეფთჩისა“ და „ჩერნომორეცს“, რომლებმაც შინ ასევე თამაშით ნაკლები ჩაატარეს, ვიდრე თბილისელებმა.

„არარატს“ ჰქონდა 170 ქულა, „ფახთაქორს“ — 165, „დნეპრს“ — 160, „ტორპედოს“ — 145.

მხოლოდ 16 ათასი მაყურებელი დაესწრო კიევში ადგილობრივი დინამოელების შეხვედრას მოსკოვის „სპარტაკთან“, თანაც მასპინძლებმა ორი გაფრთხილება მიიღეს და მხოლოდ 60 ქულას დასჯერდნენ. სულ კიეველებს 140 ქულა ჰქონდათ. შემდეგ იყვნენ „დინამო“ (მოსკოვი) — 95, „ზენიტი“ — 60, ცსკა — 55, „სპარტაკი“ — 55, „ზარია“ — 50, „ლოკომოტივი“ — 10.

ინსპექტორები აღნიშნავდნენ, რომ მატჩების დროს მაყურებლები ყველა სტადიონზე სამაგალითოდ იქცეოდნენ, სპორტულ ბაზათა მუშაკები ძალღონეს არ იშურებდნენ, რათა ყოველგვარი პირობა შეექმნათ ფეხბურთელებისა და მსაჯებისთვის, ფეხბურთის ყველა მოყვარულისთვის.

I ლიგა

2 მაისს გაიმართა I ზონის საკავშირო გათამაშების VI ტურის მატჩები:

„ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 4:1, ასკ (დონის როსტოვი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 3:0, „თერგი“ (გროზნო) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (ლენინგრადი) 2:0, „პამირი“ (დუშანბე) — „დინამო“ (მინსკი) 1:1, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ყაზგორისი“ (ვილნიუსი) 1:1, „სუხანი“ (კრასნოდარი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — ასკ (ოდესა) 1:1.

II ლიგა

2 მაისს შედგა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები. მოგვყავს მათი შედეგები:

„ზენიტი“ (იჟევსკი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:0, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:1, „დინამო“ (კიროვი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0, „დრუჟბა“ (ოშკარ-ოლა) — „დილა“ (გორი) 2:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:0, „ავტომობილისტი“ (ბაქო) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0:3, „ლოკომოტივი“ (აბოვიანი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 1:0, „ტორპედო“ (ტოლიატი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 2:0, „გასტელო“ (უფა) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 2:0, „გაზოვიკი“ (ორენბურგი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 3:0, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 1:0.

შაში

გამარჯვებული არ გამოვლინდა

ფოთში დამთავრდა საქართველოს ჯგუფთა პირველობა საერთაშორისო შაში, მაგრამ ჩემპიონი არ გამოვლინდა. I-III ადგილები გაიყვეს ოსტატმა თ. ბარამიძემ (ფოთი), ა. ნურულაევმა (თბილისი) და ბ. ღვინაშვილმა (სამტრედია) — 11-11 ქულა. ჩემპიონის გამოსავლინებლად მათ შორის დამატებითი შეჯიბრება ჩატარდება.

პირველობაში მონაწილეობდა 16 მოშაშე თბილისიდან, სოხუმიდან, ფოთიდან და სამტრედიდან. სამწუხაროა, რომ ტრადიციულ შეჯიბრებას სისტემატურად არიდებენ თავს ქუთაისის და ბათუმის სპორტული ორგანიზაციები. ეს საკითხი შაშის რესპუბლიკური ფედერაციის სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

პირველობის დასასრულს მოეწყო ტურნირი ელვისებურ თამაშში, 12 მოშაშეს შორის უძლიერესნი იყვნენ თ. ბარამიძე, ვ. გნიტაძკი (თბილისი), ს. მალოვიკი (სოხუმი).

ი. ტალახაძე,
თბილისის შაშის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

მინდორზეა ეუსებიო!

ეუსებიომ, რომელიც ამ ათიოდე წლის წინ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელად ითვლებოდა, უკვე ბევრი პორტუგალიური და უცხოური კლუბი გამოიცვალა. ახლა იგი ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობს ჰონკონგის „სეიკოს“ შემადგენლობაში.

მართლაც ასე გულცივია?

განთქმულმა სნაიპერმა გ. მიულერმა ინტერვიუ მისცა დპა-ს საგაზეთოს კორესპონდენტს. მან განაცხადა, რომ ერთი სეზონის შემდეგ აპირებს თამაშის დასრულებას, რის შემდეგ საქმოსანი გახდება.

კითხვაზე ძალიან ღელავს თუ არა, როდესაც გფრ-ის ნაკრები თამაშობს, გ. მიულერმა საკმაოდ მოულოდნელად განაცხადა: „ამ გუნდის მატჩები ისე ნაკლებად მაინტერესებს, რომ როცა მათ ტელევიზიით გადასცემენ, მყისვე გადავრთავთ ხოლმე სხვა არხზე — მე და ჩემი პატარა გოგონა საბავშვო გადაცემებს ვუყურებთ“.

„სან-პაულუ“ — ბრაზილიის ჩემპიონი

ბრაზილიის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „სან-პაულუ“ და „ატლეტიკო“ (მინეირო). როგორც ძირითადმა, ისე დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 0:0. 11-მეტრიანების სერიაში „სან-პაულუმ“ 3 პენალტი გამოიყენა, მეტოქემ კი მხოლოდ 2. ამრიგად, „სან-პაულუ“ ბრაზილიის 1978 წლის ჩემპიონი გახდა.

ფეხბურთი

რიო-დე-ჟანეირო. „შარაკანას“ სტადიონზე 145 ათასი მაყურებელი დაესწრო ბრაზილიისა და პერუს ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრას ფეხბურთში. ბრაზილიელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 3:0. ანგარიში 34-ე წუთზე გახსნა ზიკომ, შემდეგ რინალდომ კიდევ 2 ბურთი გაიტანა პერუელთა კარში.

რომი. „იუვენტუსმა“ იტალიის ჩემპიონატის განვლილ ტურში ფრედ ითამაშა „რომასთან“ — 1:1 და 42 ქულით გაიანდა თავისი ქვეყნის ჩემპიონის წოდება. მომდევნო ადგილებზე არიან „ვიჩენცა“ (39 ქულა) და „ტორინო“ (38).

ჩოხატაურელთა წარმატება

ამ დღეებში ჩოხატაურში ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა 30-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის დებულებით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ აბაშის, ლანჩხუთის, ონისა და ჩოხატაურის გუნდები (ტურნირზე არ გამოცხადდა ამბროლაურის გუნდი).

წაუგებლად ჩაატარეს შეჯიბრება ნორჩმა ჩოხატაურელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც გაიანდღეს კიდევ პირველობა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ლანჩხუთისა და ონის წარმომადგენლები. ჩოხატაურელები გააგრძელებენ მოსწავლეთა რესპუბლიკურ ასპარეზობაში მონაწილეობას.

დაწესებული იყო სპეციალური პრიზები, რომლებიც გადაეცათ: საუკეთესო მეკარეს თ. გუდავაძეს (ჩოხატაური), მცველს გ. გვაზავას (აბაშა), ცენტრალურ მცველს გ. ყაჭეიშვილს (ჩოხატაური), ნახევარმცველს ლ. ჩხარტიშვილს (ლანჩხუთი), თავდამსხმელს ზ. ყაჭეიშვილს (ჩოხატაური), საუკეთესო ბომბარდირს ზ. ცხოიძეს (ჩოხატაური). ყველაზე ტექნიკური გუნდი იყო ჩოხატაურელთა კოლექტივი, ხოლო ყველაზე კორექტულად ითამაშეს ონელებმა.

დ. გურგენიძე.
(ჩვენი კორ.).

თასებით თბილისში დარჩა

თბილისში, „დინამოს" კორტებზე სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს გუნდური თასების გათამაშება ჩოგბურთში. ასპარეზობაში მასპინძელთა გარდა ქუთაისის, რუსთავის, აჭარის, აფხაზეთის, აგრეთვე, მცხეთისა და გარდაბნის რაიონების 56 სპორტსმენი ჩაება.

თბილისის ვაჟთა გუნდში არ გამოსულან სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. მეტრეველი და თ. კაკულია, აგრეთვე, გ. ელერდაშვილი, რომელიც იმხანად სოჭის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად, მასპინძლებმა ფინალში ადვილად დაამარცხეს აჭარის წარმომადგენლები: ჯერ იყო და გუნდის ლიდერმა — საქართველოს ჩემპიონმა ვ. პერეგუდოვმა სძლია ნ. ასათიანს (6:1, 6:1), შემდეგ ვ. ბაკრიმ ასევე იოლად მოუგო ა. დიბირის — 6:2, 6:3.

ყველაზე დაძაბული გამოდგა რესპუბლიკის ექს-ჩემპიონის ვ. ოსიპოვისა და ბათუმელი ვ. ასათიანის ორთაბრძოლა. ოსიპოვმა პირველი ხელი ადვილად მოიგო (6:1) და ძალზე ახლოს იყო გამარჯვებასთან მეორეში (5:0), მაგრამ მოულოდნელად მან ინიციატივა მეტოქეს დაუთმო და დამარცხდა (6:8). მესამე, გადამწყვეტ ხელში უკვე ასათიანი დაწინაურდა, მაგრამ ოსიპოვმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწია — 7:5.

მეოთხე ორთაბრძოლა ე. პოლოსოვსა (თბილისი) და რ. გუმროიანს შორის უმინდობის გამო არ შედგა.

ამრიგად, თბილისელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:0 და დაეუფლნენ თასს. III ადგილისთვის ბრძოლაში აფხაზეთის გუნდმა სძლია რუსთაველის კოლექტივს — 3:1.

ქალთა შორისაც აშკარა იყო თბილისელთა უპირატესობა მათ ფინალურ შეხვედრაში აფხაზეთის წარმომადგენლებთან. საქართველოს პირველმა ჩოგანმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. ივანოვამ, სპორტის ოსტატებმა ნ. თუხარელმა, მ. ელერდაშვილმა და ლ. ზერეკიძემ დიდი ჯაფის გარეშე მოიპოვეს გამარჯვება და თასსაც დაეპატრონენ.

მცხეთის რაიონის გუნდმა ანგარიშით 3:1 მოუგო ჭუთაიელ ჩოგბურთელებს და III ადგილზეა.

ბოლოს, ორიოდე სიტყვა მსაჯობის შესახებ. მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობაში იყვნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის, ჩოგბურთისა და ხელბურთის კათედრის სტუდენტები. როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ა. ელერდაშვილმა აღნიშნა, მომავალმა პედაგოგებმა კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას და საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარეს ასპარეზობა.

გ. ახალაძე.

ჭიქრობგპურათი

სურათებზე: გამარჯვებულ გუნდთა ლიდერები ა. ივანოვა და ვ. პერეგუდოვი (მარჯვნივ).

ავტორის ფოტოები.

ჰოკეი

პრაღაში გრძელდება ჰოკეისტთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები.

საბჭოთა კავშირის გუნდმა ჯერ დაამარცხა ფინეთის ნაკრები — 6:3, ხოლო მერე გდრ-ის გუნდი — 10:2. ორი გამარჯვება იზეიმეს კანადელებმაც: მათ ჯერ ამერიკელებს მოუგეს — 7:2, მერე დასაელეთგერმანიის გუნდს — 6:2. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: აშშ — ჩეხოსლოვაკია 3:8, ფინეთი — შვეცია 1:6.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ტურის შემდეგ

	მ.	ფ.	წ.	მ.	ქ.
შვეცია	4	0	0	27—5	8
ჩეხოსლოვაკია	4	0	0	30—9	8
სსრ კავშირი	4	0	0	32—14	8
კანადა	3	0	1	23—12	6
ფინეთი	1	0	3	14—22	2
გფრ	0	0	4	10—27	0
აშშ	0	0	4	11—29	0
გდრ	0	0	4	5—34	0

კალათბურთი

საშრანგეთში სტუმრად იმყოფება რიგის ტტტს კალათბურთელ ქალთა გუნდი. მან ქვეყნის ნაკრებთან პარიზში გამართა ორი მატჩი, რომელთაგან პირველი სამი გულის სხვაობით მოიგეს მასპინძლებმა 69:66, ხოლო მეორე შეხვედრაში ასევე სამი ქულის სხვაობით გაიმარჯვეს სტუმრებმა — 72:69. რიგელებმა კიდევ ერთი მატჩი გამართეს „კლერმონ-ფერანის" კალათბურთელებთან და გაიმარჯვეს — 78:69.

ტაშკენტის უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდმა მალის ქალაქ სეგუში ქვეყნის ნაკრებთან გამართა ამხანაგური შეხვედრა და გაიმარჯვა — 87:53. მანამდე უზბეკეთის წარმომადგენლებმა მოუგეს ამ ქალაქის ნაკრებ გუნდს.

მსოფლიო მიღწევა ოლიმპიადის გზაზე

მხოლოდ 26 წლის კენიელ სპორტსმენს ჰენრი რონოსა და მისი მწვრთნელისთვის ჯონ ჩელანისთვის არ იყო მოულოდნელი რონოს მიერ 9 აპრილს 5000-მეტრიან დისტანციაზე დამყარებული მსოფლიო რეკორდი (13.08,4).

რიფტის ველი ჰენრი რონოსა და ბევრი ცნობილი კენიელი სტაიერის სამშობლოა. როგორც სხვებმა, რონოსაც ბავშვობა გაატარა სოფელში, სადაც მას შინ ბევრი სამუშაოს შესრულება და სკოლამდე სირბილით მისვლა უხდებოდა. სერიოზული, დამოუკიდებელი ვარჯიში სირბილში 20 წლისამ დაიწყო. ამჟამად რონო ვაშინგტონის შტატის უნივერსიტეტში სწავლობს. იგი აქვე ვარჯიშობს თავის ნიჭიერ თანამემამულეებთან ერთად, რომელთა შორისაა მსოფლიო რეკორდსმენი 10 კმ-ზე რბენაში სამსონ კიმობვა.

1976 წლის დეკემბერში აშშ-ის სტუდენტთა პირველობაზე კროსში რონომ იოლად სძლია ღიაერებულ ფავორიტებს და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. „არაფერია გასაკვირი ჩემი მოწვიის წარმატებაში, — თქვა მისმა უნივერსიტეტელმა მწვრთნელმა ჩელანგატმა. — შინ იგი ბევრს ვარჯიშობდა: დილით 12 მილს გაირბენდა, დღისით ბილიკზე სისწრაფეზე ვარჯიშობდა, საღამოს კიდევ 6 მილს დაფარავდა. ახლა დღეში ერთხელ ან ორჯერ ვარჯიშობს. კვირაში ერთხელ ჰენრი 800-იარდიან რამდენიმე მონაკვეთს ფარავს, ეცდილობთ გარბენებს შუა ინტერვალები მოკლე იყოს. ამ მონაკვეთებზე იგი საფინიშო სისწრაფით დარბის. ჩვეულებრივ, ხანგრძლივი გარბენები რამდენიმე სპრინტერული მონაკვეთით მთავრდება".

ასე ვარჯიშობს ახლა ყველა უძლიერესი სტაიერი. რონო და გაშინგტონის უნივერსიტეტის ყველა კენიელი სტუდენტი-სპორტსმენი, სხვებისგან განსხვავებით, კვირაში ერთხელ ფარავენ 7 მილს ერთერთი ხეობის გასწვრივ და ფერდობებზე არბიან.

გასულ ზაფხულში რონომ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია სტაიერულ რბენაში. მან მსოფლიოში მესამე შედეგი აჩვენა 10-(27.37,1) და 5-კილომეტრიან (13.22,1) დისტანციებზე. 1977 წელს რონომ დაამტკიცა, რომ იგი უძლიერესი კროსმენია აშშ-ის სტუდენტებს შორის.

ზამთრის დასაწყისში, დარბაზებში წარმატებით ასპარეზობის შემდეგ, რონომ რეკორდებს შეუტია. იანვრის ბოლოს ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდის სტადიონზე თავი მოიყარეს სტაიერული რბენის ოსტატებმა: სახელგანთქმულმა ფინელმა ლ. ვირენმა, ცნობილმა დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა დ. ულემანმა, მსოფლიო რეკორდსმენმა საათიან რბენაში ჰოლანდიელმა იოს ჰერმენსმა. რონო პირველი მეტრიდანვე დაწინაურდა და დისტანცია 27.48,6-ში დაამთავრა. მან უახლოეს მეტოქეს წუთზე მეტით გაუსწრო.

10 დღის შემდეგ პუერტო-რიკოში ნიჭიერმა კენიელმა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება მოიგო. მან „ნახევრად მარათონში" (21 კმ 97,5 მ) აჯობა გასული სეზონის საუკეთესო მარათონელს ამერიკელ ბ. როჯერსს და თანაგუნდელებსა და თანამემამულეებს კიმობვასა და ჯ. კიმეტოს.

9 აპრილს კალიფორნიის, ვაშინგტონისა და არიზონის უნივერსიტეტების მატჩში რონომ მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 13.08,4.

იმ დღეს ბერკლიში მზიანი და თბილი ამინდი იდგა. ედვარდსის სტადიონზე, რომელიც „გოლიათთა" (სსრ კავშირ — აშშ-ის) მორიგი მატჩის სარბიელი იქნება, სულ ახლახან დაიგება ახალი სინთეტური საფარი. ამ ბოლო დროს რონოს ერთადერთი „სერიოზული მეტოქე" იყო წამშზომის ისარი. კიმობვა და კიმეტო მხოლოდ ორი მილის მანძილზე მიჰყვებოდნენ.

„მიეცეჩვე ისე ასპარეზობას, თითქოს მეტოქეები საერთოდ არ არსებობენ. სტარტზე გამოსვლისას ყოველთვის ვფიქრობ, რომ აუცილებელი არ არის მოგება, არამედ საჭიროა აჩვენო თუ რა შეგიძლია", — თქვა სპორტსმენმა.

„ასეთი ნაჯიერი მოწვიფე ჯერ არ მყოლია, — ამბობს რეკორდსმენის მწვრთნელი. — იგი საშუალო ტანის, ჩაფსკვნილი (სიმაღლე — 170 სმ, წონა — 63,5 კგ), მაგრამ საკმაოდ სწრაფი ათლეტია. ერთხელ მან 3000-მეტრიან დისტანციაზე გაუსწრო ცნობილ ტანზანიელ მორბენალს, მსოფლიო რეკორდსმენს ფ. ბეის. მისი ნიჭის დიაპაზონი ფართოა".

რეკორდსმენის მწვრთნელმა აღნიშნა, რომ მოსკოვის ოლიმპიადაზე რონო შეჰველად იქნება აფრიკის მძლეოსნობის ერთ-ერთი ნათელი „ვარსკვლავი".

ტ. კოზლოვა.

(საკდესის კორ.).

მძლეოსნობა

როვას (ჩეხოსლოვაკია) 10,54 მეტრით მოუგო.

როგორც ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, ბაღროს ტყორცნაში ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. ორტერმა შარშან ვარჯიში გაანახლა. ვარაუდობენ, რომ ამ 40 წლის სპორტსმენს განზრახული აქვს მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის იბრძოლოს. ამ დღეებში გამართულ ერთ-ერთ შეჯიბრებაში მან 59,60 მეტრი აჩვენა.

ლისაბონში გაიმართა მშრომელთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მძლეოსანთა შეჯიბრება. მიუხედავად ოლიმპიადის ჩემპიონმა მოსკოველმა ფ. მელნიკმა ბაღრო 64,70 მეტრზე ტყორცნა და უახლოეს მეტოქეს მ. პოლა-

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" მე-17 ტრაჟისა, რომელიც 2 აპრილს მოსკოვში მოეწყო.

პირველი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 261, სამისთვის — 6.

მეორე: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება აქაც 5000 მანეთია, ოთხისთვის — 92, სამისთვის — 5.

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, მე-18 ტირაჟი.

„სპორტლოტო": 1 (საავიაციო სპორტი), 6 (ქალთაბურთი), 9 (ციდაობა), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 27 (მოტოსპორტი), 43 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 35 (სპიდვეი).

სპორტლოტო-2": 13 (წყალბურთი, თბილამურო სპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 35 (სპიდვეი), 39 (სამბო), 42 (ძალოსნობა), 44 (ფიგურული ციგურაობა). შეღავათიანი ბურთულა — 24 (თბილამურო სპორტი).

კონკურსები

გულგარეთის ქალაქ პლევენში, ქვეყნის ჩემპიონატზე ი. რუსევმა (67,5 კგ) ორშეიდის ჯამში 317,5 კგ (140+177,5) დააგროვა, რაც 2,5 კილოგრამით აღემატება ქუბელი რ. ურუტიას მსოფლიო მაღწევას. რუსევმა 5 კგ-ით გადაუმჯობესა ბულგარეთის რეკორდი ატაცში. მისი შედეგია 140 კგ.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის კათედრის მასწავლებლის ერთ ერთეულზე (სათხილამურო სპორტის სპეციალობით).

კონკურსის ვადაა 15 დღე გამოცხადებიდან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49, ტელეფონი: 22-31-60, 23-09-02.

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის აუზში ცურვის მოყვარულებისთვის მაისიდან გაიხსნა დამატებითი გამაჯანსაღებელი ჯგუფები (15 და 21 ს.). მსურველებს აბონემენტების შეძენა შეუძლიათ აუზის დირექციაში. (ი. ჭავჭავაძის გამზირი, 49-ბ).

პოლონელებს იგელი აქვთ



უსიტყვოდ.

(პოლონური იუმორი)

შორს არ არის ის დღე, როცა სტარტს აიღებს მშვიდობის მორიგი ველორბოლა, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო კოლექტივები მიიღებენ მონაწილეობას.

სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა შესარჩევი მრავალდღიანი ასპარეზობა სოჭში გაიმართა. თვიანთი ტურნირები ჩაატარეს ევროპის სხვა ქვეყნების სპორტსმენებმაც. პოლონელებმა დააკომპლექტეს ნაკრები, რომელშიც 12 კანდიდატია. გუნდს სათავეში უდგას მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ი. კოვალსკი. იგი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია.

პოლონეთის ნაკრების ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ კოვალსკი ახალგაზრდებთან — ი. იანეევიჩთან, ჩ. ლანგთან, რ. ვეიჩრეკთან, კ. სუიკთან და ლ. მიხალაკთან ერთად (ეს ექვსეული ძირითადი ბირთვი) შეძლებენ მშვიდობის ველორბოლაში პირად და გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის ბრძოლას.

მშვიდობის ველორბოლის დაწყებამდე პოლონელები ევროპის სხვა 12 ქვეყნის კოლექტივებთან ერთად ძალებს ცდიან ბრაუნშვეიგის (გფრ) ირგვლივ გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჰადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЭ 10002